წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—88—17, სამდივნოსი—10—58, მთ. კანტორის—8—31.

კვირა, 6 ნოემბერი 1932 წ. № 259 (3513)

ოქტომბრის ზეიმის წინ

ჩვენი ქვეყანა ემზადება სოციალისტური რევოლიუციის 15 წლისთავის ზეიმისათვის, მთელმა რიგმა ქარხნებმა, რომლებმაც ლენინგრადის მუშების მოწოდებით იკისრეს ვალდებულებანი ოქტომბრის 15 წლისთავისათვის, უკვე შეასრულეს ისინი ან დღე დღეზე შეასრულებენ. ასეული ქარხანა ამთავრებს ხუთწლიან გეგმას და წლიურ გეგმებს. საწარმოო ენტუზიაზმის და ინიციატივის ტალღა წარმოშობს ახალ ათეულ ათას დამკვრელს.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის პატაკები და ცნობები ახალი აღმოჩენათა, გამოგონებათა და ახალ წარმატებათა შესახებ. მთავრდება ახალი სახლების, სასადილოების, კლუბების, თეატრების და სხვადასხვა კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა მუშებისა და გლეხებისათვის. ჩვენი ქარხნები უშვებენ ახალ ტრაქტორებს, მანქანებს და რთულ აგრეგატებს. საკოლმეურნეო სოფელი ძლევს კულაკურ წინააღმდეგობას, აწარმოებს ბრძოლას პურისათვის და ამთავრებს შემოდგომის თესვას.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ღირსეულად ასრულებს თავის ისტორიულ როლს, რომელიც ლენინმა გენიოსურად განჭვრიტა და განსაზღვრა ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე.

1894 წელს ლენინი სწერდა, რომ „როცა მისი (მუშათა კლასის) მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული როლის იდეებს, როცა ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშათა შორის შეიქმნება მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც მუშათა ეხლანდელ დაქსაქსულ ეკონომიურ ომს გადააქცევენ შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, მაშინ რუსეთის მუშა სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტებს, დაამხობს აბსოლუტიზმს და რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) წაიყვანს აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლიუციისაკენ“.

ეს დაიწერა თითქმის 40 წლის წინად. ჩვენი პარტიის და ოქტომბრის რევოლიუციის ორგანიზატორის ამ სიტყვების განხორციელებაა პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც შევიდა სოციალიზმის პერიოდში.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობასთან ერთად კაპიტალისტურ ქვეყნებში სწარმოებს პროლეტარიატის რევოლიუციური ბრძოლა. დნეპრის დამორჩილება, ფოლადის გამოდნობა ციმბირში, ლითიუმის ატომის ბირთვის დაშლა, სინთეტიური კაუჩუკი, მოსკოვის, გორკის და იაროსლავლის სატვირთო ავტომობილები, ახალი მძლავრი ორთქლმავლები და ტრაქტორები, ახალი ქალაქები, შუისკის და ვიჩუგის ფეიქრების მოწოდება, ჩინეთის წითელი არმიის გმირული ბრძოლა, ინგლისის უმუშევართა მშიერი ლაშქრობა, ლანკაშირის ფეიქრების გაფიცვა, ბერლინის ტრანსპორტის მუშათა საყოველთაო გაფიცვა, მუშების უმაგალითო გმირული ბრძოლა თეთრი ტერორის წინააღმდეგ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რამდენიმე ათასი პროლეტარიატის აღმართული მუშტი, რომლებიც პარიზში მიესალმენ გერმანიის კომუნისტების ბელადს ამხ. ტელმანს—ყოველივე ეს საერთაშორისო რევოლიუციის საქმეა. პეტროგრადის მუშათა შეიარაღებული აჯანყების წლისთავის დღეს ლენინის საფლავზე დაიხრება არა მარტო მსოფლიო რევოლიუციის დამკვრელი ბრიგადის დროშები, არამედ აგრეთვე იმ ექსპლოატირებულთა და ტვირთმძიმეთა ათეული მილიონი დამშეული უმუშევრის და ასეული ათასი მებრძოლის დროშები, რომელთაც იერიში მიაქვთ კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეზე ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

რევოლიუციური მოძრაობა ვითარდება მთელ მსოფლიოში. რევოლიუციონერთა არმია იზრდება სოციალისტური რევოლიუციის ახალ-ახალი მოწოდებით. ლენინური პარტიულობა მაგალითს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიებისათვის.

ლენინი დაუღალავად მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის, პროფესიონალ-რევოლიუციონერების აღზრდისათვის. პარტიის ლენინური მოძღვრება იმარჯვებდა რევოლიუციის ყველა ეტაპზე და მოსახვევებზე.. კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე 1905 წელს, არალეგალური მუშაობის პირობებში მეფის დროს, მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში, საპყრობილეებში, 1917 წელს ოქტომბრისათვის მზადების პერიოდში, სამოქალაქო ომის სუსხიან წლებში, როცა იმპერიალისტთა და თეთრგვარდიელთა არმიები ლამობდნენ რევოლიუციის ჩახშობას, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში, როცა საჭირო იყო დანგრეული ქვეყნის შეკეთება და აღდგენა, პირველი ხუთწლედის წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა დაისერა ახალი მსოფლიო სამრეწველო გიგანტებით, როცა საჭირო იყო ახალი ტეხნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობისათვის, კულაკობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში პურისათვის, წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური გარდაქმნისა და კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში იზრდებოდა რევოლიუციონერ ბოლშევიკების თაობანი. პროლეტარული რევოლიუცია სჭედდა ბოლშევიკთა რკინისებურ გვარდიას, რომლებმაც დაიპყრეს ძალაუფლება და რომლებიც აშენებენ სოციალიზმს და მიყავთ კაცობრიობა რევოლიუციური ბრძოლების გზით კომუნიზმისაკენ.

ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა აღმართული საერთაშორისო რევოლიუციის გზაზე. მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობა, დაბლიდან, მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შექმნა, გაფიცვების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ბრძოლის გაშლა ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად—ყოველივე ეს კომუნისტური პარტიების უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ამოცანაა კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში. ჯერ კიდევ არის სიძნელენი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების გზაზე. კულაკი ჯერ კიდევ წინააღმდეგობას გვიწევს. კლასობრივი ბრძოლა როგორც ეს გაითვალისწინა მე-17 პარტკონფერენციამ, ჯერ კიდევ მწვავდება ცალკე უბნებზე. ჯერ კიდევ სრულიად არ არის დამთავრებული ბრძოლა წარსულის წყეულ მემკვიდრეობასთან, ძველ ჩვეულებათა ძალასთან.

გრანდიოზული ამოცანები სდგანან თვითეული ქვეყნის წინაშე და გრანდიოზული ამოცანები ისახება თვითეული ბოლშევიკის, თვითეული მოწინავე მუშის და კოლმეურნის წინაშე. კომუნისტური მოძრაობის რევოლიუციური თეორიის დაუფლება, სიმტკიცე, შეურყევლობა, პროლეტარული რევოლიუციის დროშისადმი, პარტიის დროშისადმი ერთგულება; ტეხნიკის დაუფლება, ამერიკული საქმიანობა ყოველგვარ მუშაობაში, ორგანიული კავშირი მასებთან—იზრუნო მათი საჭიროების და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, მუდმივად იმუშაო მათი მატერიალური მდგომარეობის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის,—ახალი საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება, წმინდა სოციალისტური საკუთრების დაცვა, იყო საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლი —აი ჩვენი დროის პროლეტარული რევოლიუციონერის თვისებანი. ამ თვისებათა შეძენა ადვილი როდია.

პარტიული კადრების შექმნა, მათი აღზრდა, იდეური და თეორიული შეიარაღების გაძლიერება მოწინავე მუშებისათვის, პროლეტარული რევოლიუციონერის თვისებათა ჩანერგვა—აი მთავარი ამოცანა, რომლის გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება.

იმ მუშების და სპეციალისტების თავდადებული გმირობა, რომელნიც სუსხიან დღეებსა და ღამეებში დნეპრის კაშხალზე ბეტონის დაგების მხრივ სარეკორდო ციფრებს აღწევენ, კოლმეურნეობათა მოწინავე ორგანიზატორების ბოლშევიკური შეუპოვრობა, მასიური გმირობა, რომელიც წინ სწევს სოციალისტურ მშენებლობას, ცეცხლი რითაც ანათებს სოციალიზმის თვითეული მიღწევა ათასთა თვალში, რომელნიც მსოფლიოს კომუნისტურად უწყობენ მზერას—ესაა გრანიტი ახალ პარტიულ-რევოლიუციონერების გამოსაკვეთად, რომელნიც ძალღონეს არ ზოგავენ, რათა უკეთ, უფრო სწრაფად და ადვილად დამთავრდეს სოციალიზმის შენობის აგება.

ჩვენ მივუახლოვდით ომების და რევოლიუციების მეორე ტურს. „იმპერიალისტურ ომს, იმპერიალისტურ მსოფლიოს პირველმა ბოლშევიკურმა რევოლიუციამ ხელიდან გამოგლიჯა ადამიანთა პირველი ასეული მილიონები დედამიწაზე. შემდეგი რევოლიუციები ასეთ ომებს, ასეთ მსოფლიოს ხელიდან გამოგლეჯენ მთელ კაცობრიობას“, —სწერდა ლენინი ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავზე, რა იდეური ძალა უნდა ახასიათებდეს რევოლიუციონერ-ბოლშევიკებს, რომელთაც ახლა უხდებათ ამ ამოცანის—კაპიტალისტური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ამოცანის გადაჭრა! ეს მტკიცე ბოლშევიკები გამოსჭედეს კომინტერნმა და ჩვენმა პარტიამ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით. ისინი ყველა ხალხთა მშრომელებს ამხედრებენ მსოფლიოს უკულმართობის მოსასპობად, იმპერიალიზმის გასანადგურებლად.

საკავშირო კომუნისტური პარტია ოქტომბრის წლის თავს ხვდება პოლიტიკურად სავსებით შეიარაღებული. ჩვენს ლენინურ დროშებს შესცქერიან მთელი მსოფლიოს მშრომელნი, ეს დროშები მათი იმედიცაა და ხვალინდელი დღეც. ლენინიზმმა გამოცდა დაიჭირა რევოლიუციური ეპოქის ქარტეხილში. იზრდება პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს ახალი სოციალისტური საზოგადოების არმიები და მსოფლიო ოქტომბრისათვის მებრძოლთა არმიები.

რევოლიუციის მე-16 წელს კიდევ უფრო შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ ახალი კადრების აღსაზრდელად, დაბლიდან ბოლშევიზმის რევოლიუციურ მწვერვალებზე მშრომელთა ახალი მასების ასაყვანად.

„პრავდა“-ს მოწინავედან.

საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

„ხორცის დამზადების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ

„ხორცის დამზადების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 70 №-ი, მუხ. 418; სსრკ ც. აღმ. კომ. „იზვ.“-ს 265 №-ი 1932 წ. სექტემ. 24-სა) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 253 №-რი, 1932 წ. ოქტომბრის 30-სა) შესაბამისად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს კარაქის ტრესტს, მეღორეობის ტრესტს და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს—მიიღონ ასასრულებლად შემდეგი გეგმა საქართველოს სსრ-ში ხორცის ჩაბარებისა 1932 წ. ოქტომბრის 1-დან 1934 წლის იანვრის 1-დე დროის განმავლობაში:

(ცოცხალი წონით ტონობით

	IV. კვარტ. 1932 წ.	I. კვარ. 1933 წ.	II. კვარ. 1933 წ.	III. კვარ.	1933 წ. IV. კვარ.	სულ 15 თვეში
კარაქტრესტი	217	48	21	4	103	393
მეღ. ტრესტი	182	200	150	40	250	822
საბჭ. მეურნ. ტრ.	—	—	—	—	—	200

2. შემოღებულ იქნეს 1932 წ. ოქტომბრის 1-დან ყველა ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობისა და საკოლმეურნეო კომლისათვის გადასახადის ძალის მქონე ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის გაყიდვა-მიწოდებისა (ჩაბარებისა) დაწესებულ სახელმწიფო ფასად.

3. დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ-თვის 15 თვის განმავლობაში—1932 წ. ოქტომბრის 1-დან 1934 წ. იანვრის 1-დე—კემბრ.) ხორცის ჩაბარების შემდეგი ნორმები ცოცხ. წონით—კილოგრამობით ცალკეულ რაიონებსა, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში:

რაიონების სახელწოდება	ინდივიდ. საგლეხო მეურნეობებისათვის	საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მეცხოველ. სასაქონლო ფერმები არა აქვთ.	საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლმეურნეობებში სადაც მეცხოველ. სასაქ. ფერმებია
1. ზოლი ახალქალაქისა ბოგდანოვკისა ტოლოშისა ყარაიასი წალკისა მანგლისისა ბაშკიჩეთისა ლიუქსემბურგისა ახალციხისა ბორჩალოსი ხევისა ადიგენისა	50	32	25
II ზოლი სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი თბილისისა ბორჯომისა დუშეთისა ერწო-თიანეთისა (ფშავ-ხევსურეთით) წალენჯიხისა სიღნაღისა	40	27	18
III ზოლი. აფხაზეთის ასსრ აჭარისტანის ასსრ ჩხოროწყუისა ზუგდიდისა თელავისა ხობისა გარე-კახეთისა ლაგოდეხისა	37	25	16
IV ზოლი. ყვარელისა გორისა სტალინისისა ხორაგაულისა ცაგერისა ამბროლაურისა სამტრედიისა მარტვილისა ლანჩხუთის სენაკისა აბაშისა შიათურისა ხონისა მცხეთისა ქოლურისა	32	21	14
V ზოლი კასპისა გურჯაანისა ქუთაისისა ონისა ოზურგეთისა ზესტაფონისა ბაღდადისა ვანისა ოკრიბისა ჩხარისა ჩოხატაურისა ფოთის სამრეწველო რაიონი	28	18	12

4. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკალენდარო ვადები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ინდივიდუალური მშრომელი გლეხობისა და კოლმეურნეების მიერ ხორცის დამზადების ხუთმეტთვიანი გეგმის შესრულებისათვის იმ ნორმის პროცენტობით, რაც რესპუბლიკაში კომლზე მოდის:

1932 წ. მე-IV კვარტალში 16 პროც.
1933 წ. 1-ლ „ 15 პროც.
1933 წ. II „ 17 პროც.
1933 წ. III „ 26 პროც.
1933 წ. IV „ 26 პროც.

5. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და ამტკიცოს იმ საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებისათვის, რომელნიც გაფორმებულ არიან საადგილმამულო და საკოლმეურნეო ორგანოების მიერ 1932 წ. სექტემბრის 24 თვის, ცალკე გეგმა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა 1932 წ. ოქტომბრის 1-დან 1934 წ. იანვრის 1-მდე დროის განმავლობაში შემდეგი ნორმების კვალობაზე ცოცხალ წონით—კილოგრამობით:

ა) რძის ფერმებისათვის—80 კილოგრამი თვითეულ ძროხაზე იმ ნახირისა, რაც 1932 წ. ოქტომბრის 1-თვის იყო, მთელი მოზარდი საქონლის გამოკლებით;

ბ) მეღორეობის სასაქონლო ფერმებისათვის—120 კილოგრამი თვითეულ დედალორზე იმ ჯოგისა, რაც 1932 წ. ოქტომბრის 1 თვის იყო;

გ) მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისათვის—10 კილოგრამი თვითეულ დედაცხვარზე იმ ფარისა, რაც 1932 წ. ოქტომბრის 1 თვის იყო;

6. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს და აგრეთვე სამხრ.-ოს. ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს--მიაწოდონ არა უგვიანეს ნოემბრის 15-სა ხორცის ჩაბარების ნორმები საგლეხო მეურნეობებამდე და საკოლმეურნეო ფერმებამდე და დაუყოვნებლივ აცნობონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ხორცის ჩაბარების საერთო სარაიონო გეგმები სექტორულ ხაზით.

7. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს აცნობონ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებს, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულების აღსრულება საკოლმეურნეო კომლს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებს შეუძლიათ ყოველგვარი სახის ოთხფეხი საქონლის და ფრინველის ჩაბარებით; ამასთანავე ჩამბარებლებს შეუძლიათ ხორცის ჩაბარების ვალდებულების ერთად შესრულებისათვის ჯგუფებად გაერთიანდნენ.

8. კატეგორიულად აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამზადებელ ორგანიზაც. საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხობისათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულების იმაზე გადიდებული რაოდენობით დაკისრება, რაც აღემატება ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ ჩაბარების რაიონობით ნორმებს;აგრეთვე აიკრძალოს ხორცის ჩაბარების დამატებითი ან შემხვედრი გეგმების მიცემა იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც ვადამდე შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი და სრული შესაძლებლობა მიეცეს პირიან ჩამბარებლებს თავისუფლად და თავის სურვილზე მოიხმარონ თავიანთი ზედმეტი პროდუქცია.

9. მას, ვინც თავს აარიდებს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულების აღსრულებას, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დაედება ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობამდე და ჩამოერთმევა ჩასაბარებელი ოთხფეხი საქონელი უდავო წესით.

10. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-სა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის და აჭარისტანის საოლქო კომიტეტებს—დააწესონ 5 დღის ვადაში ამა დადგენ. მე-3 მუხლით გათვალისწინებული საშუალო ნორმების ფარგლებში ხორცის ჩაბარების რაიონობითი ნორმები ცალკე ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის, ცალკე საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მეცხოველეობის ფერმები არა აქვთ და ცალკე საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები, და, არა უგვიანეს 1932 წ. ნოემბრის 15-სა, აცნობონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტისა რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში აღნიშნული რესპუბლიკებისათვის დადგენილი ხორცის ჩაბარების გეგმები სექტორული ხაზით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ მგალობლიშვილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბერია.

1932 წ. ნოემბრის 5.
თბილისი.

ბრძოლა ჩრდილოეთ მანჯურიაში

ციციკარი იაპონიის ჯარის ხელშია

ბეიპინი, 4 ნოემბერი. ხარბინის გაზეთი „გოცშიბაო“ გადმოგვცემს, რომ ხარბინიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ 40 ვერსის ზოლში მოქმედებს მთავრობის საწინააღმდეგო ჯარი, რომელიც შესდგება 12 ათასი კაცისაგან. ციციკარ-კაშენის რკინის გზაზე ციან-ჩენის ასაღებად წარმოებულ ბრძოლის დროს, რომელიც 10 დღეს გაგრძელდა, იაპონიის ნაწილები საგრძნობლად დამარცხდენ. ციციკარი იაპონიის ნაწილების ხელშია. ცინჩენის მაზრა (ციციკარის პროვინციაში) დაკავებული აქვთ პარტიზანებს.

იაპონიის ჯარები სადგურ ხაილინიდან (აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზი) ტყვიისმფრქვევებს და თოფებს უშენდენ სადგურ შანშის (ადს).

განიარაღების კონფერენციის ბიუროს სხდომა

საბჭოთა წინადადებანი შეიარაღების საერთაშორისო კონტროლის შესახებ—სხდომის ყურადღების ცენტრში

ჟენევა, 5 ნოემბერი. გაიხსნა განიარაღების კონფერენციის ბიუროს სხდომა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად არის საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. დოვგალევსკი.

ჰენდერსონმა სხდომის გახსნისას განაცხადა, რომ ყველა მთავრობებს დაეგზავნა ცნობა 21 ნოემბრისათვის განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის მოწვევის შესახებ. 47 მთავრობამ უკვე განაცხადა თანხმობა კონფერენციის მიმართვაზე, იმის შესახებ, რომ დროებითი ზავი შეიარაღებაში გაგრძელდეს კიდევ ოთხი თვით, 1 ნოემბრიდან დაწყებული. ზოგიერთი ქვეყანა დათანხმდა იმ პირობით, თუ ყველა სახელმწიფოები იკისრებენ სათანადო ვალდებულებებს, ხოლო სხვებმა კვლავ წამოაყენეს მოსაზრებანი, რომლებიც მათ გამოსთქვეს გასულ წელს, დროებითი ზავის წინადადებისათვის კენჭის ყრის დროს.

შეიარაღების საერთაშორისო კონტროლის, ავიაციის შეზღუდვის და ქიმიური ომის აკრძალვის კომიტეტების მოხსენებათა განხილვის დროს პირველად მოისმინეს ბურკენის მოხსენება. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ვილსონი ექვსი თვის დაგვიანებით დაადგა თვალსაზრისს, რომელიც თითქმის ეთანხმება ლიტვინოვის განცხადებას განიარაღების კონფერენციის ბიუროს წინანდელ სესიაზე, სექტემბრის დამლევს, სახელდობრ: აზრი არა აქვს შეიარაღების კონტროლის საკითხის განხილვას მანამდე, სანამ არავითარი გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი ძირითად საკითხზე — განიარაღების საკითხზე.

ვილსონის შემდეგ გამოსული დელეგატები: ინგლისის — იდენი და იაპონიის — სატო აგრეთვე აღნიშნავდენ, რომ მანამდე, სანამ გადავწყვეტდეთ საკონტროლო კომისიის უფლებამოსილობის საკითხს, საჭიროა შეიარაღების ფარგლების განსაზღვრა.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დოვგალევსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ამხ. ლიტვინოვმა უკვე გამოსთქვა საბჭოთა თვალსაზრისი კონტროლის საკითხზე, და აღნიშნა აგრეთვე რომ ბურკენის მოხსენებაში საბჭოთა წინადადებებიდან მოყვანილი ნაწყვეტები წარმოადგენენ ერთი მთლიანის ნაწილებს და ამიტომ იგი უფლებას იტოვებს დაუბრუნდეს ბურკენის მოხსენების მთელ რიგ წინადადებებს.

კამათი გადაიდო 4 ნოემბრისათვის (ადს).

ბერლინის ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა ფართოვდება

სოციალ-გამცემლები ცდილობენ გაფიცვის ჩაშლას

ბერლინი, 4 ნოემბერი. ბერლინის საქალაქო ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა ცხოველ გამოხმაურებას იწვევს ბერლინის სხვა მუნიციპალურ საწარმოთა მუშებს შორის, რომელთაც ამას წინად შეუმცირეს ხელფასი. მთელ რიგ საწარმოებში დღეს იმართება კრებები, რომლებზედაც არკვევენ საკითხს — შეუერთდენ თუ არა გაფიცვას. კომუნალური მეურნეობის მუშათა რეფორმისტული პროფკავშირის იმ წევრებმა, რომელნიც თანაუგრძნობენ გაფიცვას, დელეგაცია გაგზავნეს რეფორმისტული პროფკავშირის გამგეობაში, რათა მოსთხოვონ მას მხარი დაუჭიროს გაფიცვას და მატერიალური დახმარება გაუწიოს გაფიცულებს.

მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა დაიწყო ფართო კამპანია სახსრების შესაგროვებლად გაფიცულთა დახმარების ფონდისათვის და კვების მოსაწყობად. გაფიცულია 22 ათასი კაცი. ჩაიშალა საქალაქო ტრანსპორტის დირექციის და კომუნალური მეურნეობის მუშათა რეფორმისტული პროფკავშირის პირველი მანევრი, რომელიც მიმართული იყო გაფიცვის ჩაშლისაკენ. კომუნალური მეურნეობის რეფორმისტულმა პროფკავშირმა დღეს დილით გაავრცელა ფურცლები, რომლებშიც იგი მოუწოდებს მუშებს განაახლონ მუშაობა, აგრეთვე უცხადებს საქალაქო ტრანსპორტის კომპარტიის დირექციას, რომ მხარს არ უჭერს გაფიცვას. დირექციამ მოითხოვა, რათა მუშები შეუდგენ მუშაობას, რადგან პროფკავშირები გაფიცვის წინააღმდეგნი არიან და, რომ ამით გაფიცვა, თითქო, ველურ ხასიათს ატარებს. მაგრამ არც ერთ მუშას არ განუახლებია მუშაობა.

გაზის ქარხნების მუშებმა და ფეიქრებმა დაადგინეს მხარი დაუჭირონ გაფიცულთ მათ სასარგებლოდ ერთი საათის ხელფასის გადარიცხვით.

საგაფიცვო კომიტეტის ცნობებით, საქალაქო ტრანსპორტის 1.700 მუშა არის რევოლიუციური პროფოპოზიციის წევრი და 800 კაცი — კომპარტიის წევრი, საქალაქო ტრანსპორტის რეფორმისტულ პროფკავშირში გაფიცვის დაწყების დროს ითვლებოდა 4 ათასი კაცი (ადს).

ბერლინი, 4 ნოემბერი. დღეს დილით ბერლინის საქალაქო ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა შეუსუსტებლად გრძელდებოდა. ადმინისტრაციის, რეფორმისტების და პოლიციის მთლიანი ფრონტი ყოველგვარ ზომას მიმართავს გაფიცვის ჩასაშლელად. გუშინ ღამით გამოაცხადეს, როგორც სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელფასის ერთ საათში 2 პფენინგით შემცირების შესახებ. ადმინისტრაციამ შემდეგი ულტიმატუმით მიმართა მუშებს: „ვინც სამუშაოზე არ დაბრუნდება დღეს 2 საათამდე, დაუყოვნებლივ იქნება დათხოვნილი“ (ადს).

გაფიცულთა აქტივის მასიური დაპატიმრება

ბერლინი, 4 ნოემბერი. პოლიცია ცდილობს ჩაშალოს ბრძოლა საგაფიცვო პიკეტების და, უმთავრესად, გაფიცულთა აქტივის მასიური დაპატიმრებით. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე კაიზერი დააპატიმრეს ყველა სადგურების და პარკების საგაფიცვო კომიტეტების კონფერენციაზე. კონფერენცია გაფანტა პოლიციამ. გაფიცულებისათვის სოლიდარობის გამოცხადების გამო დააპატიმრეს კომუნალური მეურნეობის და ტრანსპორტის მუშების რევოლიუციური პროფოპოზიციის ბერლინის კომიტეტის ყველა 52 წევრი. სულ გუშინდელი დღის განმავლობაში დაპატიმრებულ იქნა 250 კაცამდე (ადს).

„როტე ფანე“ კვლავ აკრძალეს

ბერლინი, 4 ნოემბერი. პოლიციამ 12 ნოემბრამდე აკრძალა „როტე ფანე“, რომელმაც გუშინ გამოუშვა მიმარცხენე „ველტ ამ აბენდ“-ის სასწრაფო ნომერი. კვლავ დაბეჭდეს „როტე ფანე“-ს საროტაციო მანქანა, რომელიც მასიური პროტესტების ზეგავლენით მხოლოდ რამდენიმე დღის წინად დაუბრუნეს სტამბას ხანგრძლივი კონფისკაციის შემდეგ.

პრუსიის მთავრობას განზრახული აქვს მიიღოს კიდევ უფრო მკაცრი ზომები გაფიცულთა წინააღმდეგ. დაიწყო გამოძიება, თუ რამდენად დაკავშირებულია თუ რა გაფიცვა „სახელმწიფო ღალატის მომზადებასთან“. ნაციონალ-სოციალისტებმა წინადადება მისცეს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყველა გაფიცულ წევრებს შესწყვიტონ გაფიცვა (ადს).

მუშურ-გლეხური მილიციის არსებობის 15 წლის თავის იუბილე

მისალმებანი

საქართველოს ცაკისაგან

რესპუბლიკის მილიციის უფროსს

საქართველოს ცაკი საქართველოს ყველა მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უგზავნის საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მილიციას მისი სახელოვანი არსებობის, 15 წლის იუბილეს გამო. მუშურ-გლეხურმა მილიციამ, როგორც დიადი ოქტომბრის ღვიძლმა შვილმა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად შეასრულა გმირული მუშაობა ბანდიტიზმის აღმოსაფხვრელად, რევოლიუციური კანონიერების და რევოლიუციური დისციპლინის განსამტკიცებლად. მუშურ-გლეხური მილიციის თავდადებულმა მუშაობამ პროლეტარიატის დიქტატურის ერთად-ერთ ქვეყანას—საბჭოთა კავშირს მისცა ფართო შესაძლებლობა აშენოს სოციალიზმი მშრომელთა საკეთილდღეოთ. საქართველოს ცაკი დარწმუნებულია, რომ მუშურ-გლეხური მილიცია მომავალშიაც მტკიცედ იდგომება დიადი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, გმირულად შეასრულებს დაკისრებულ უძნელეს ამოცანებს და ამით ხელს შეუწყობს კომუნიზმის საბოლოოდ გამარჯვებას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მილიციას!
გაუმარჯოს კომუნიზმს!

საქართველოს ცაკი.

საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ ულოცავს მუშურ-გლეხურ მილიციას მისი არსებობის 15 წლის იუბილეს. სახალხო კომისართა საბჭო დიდად აფასებს მუშურ-გლეხური მილიციის უდიდეს დამსახურებას საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე რევოლიუციური კანონიერების და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საქმეში და დარწმუნებულია, რომ იგი მომავალშიაც ფხიზლად იდგომება თავის საგუშაგოზე, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის.

საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო.

საქ. სახ. პოლიტსამმართველოსაგან

საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კოლეგია, მისი ორგანოების და ჯარების ოპერატიული, მეთაურთა და მერიგეთა შემადგენლობა მუშურ-გლეხური მილიციის 15 წლისთავზე ესალმება საბჭოების ქვეყანაში რევოლიუციური წესრიგის დაცვისათვის საიმედო მებრძოლებს.

დარწმუნებული ვართ რა მუშურ-გლეხური მილიციის ურყევ ბოლშევიკურ სიმტკიცეში, თავგანწირვაში და მისი რიგების შემჭიდროებაში, შემდეგშიაც ვუსურვებთ მას ენერგიას, წარმატებას და თავგანწირვას იმ საპატიო ამოცანების და ვალდებულებების შესრულების საქმეში, რომლებსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აკისრებენ მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს.

ჩეკისტურ სალამს ვუგზავნით რევოლიუციური კანონიერების დამცველთ—საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მეთაურთა და მერიგეთა შემადგენლობას, რომლებიც დგანან მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე და ამასთან ერთად იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისა და სოციალიზმის აშენებისათვის, ლენინური ბოლშევიკური პარტიის და მისი ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხური მილიციის 15 წლის იუბილეს!

საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდ. მოადგილე: **რაპავა.**

სასტიკი რეპრესიები ბულგარეთში

ბულგარეთის მუშათა პარტიის ყრილობის დელეგატების დაპატიმრება

ვენა, 4 ნოემბერი. მიუხედავად აკრძალვისა, სოფიაში მოწვეულ იქნა ბულგარეთის მუშათა პარტიის ყრილობა, რომელიც ჩატარდა არალეგალურად 142 დელეგატის მონაწილეობით. ყრილობის დამთავრების შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა ყველა დელეგატები, ალყა შემოარტყა სოფიის მუშათა ყველა უბნებს და მოახდინა მასიური ჩხრეკა. ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა აღძრას უზენაეს საკასაციო სასამართლოს წინაშე საქმე, რათა მუშათა პარტია გამოცხადებულ იქნას კანონს გარეშე პოლიციის იმ„ დოკუმენტების“ საფუძველზე, რომლებიც, თითქმის, ამტკიცებენ, რომ მუშათა პარტია მხოლოდ კომპარტიის საფარია. მუშათა პარტიის მდივანმა სტოევმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გაგზავნა საპროტესტო დეპეშა ყრილობის დელეგატების დაპატიმრებისა და საპოლიციო საპატიმროში მათი მხეცურად წამების წინააღმდეგ.

სოფიაში გრძელდება მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები მუშათა რევოლიუციურ ორგანიზაციებზე ფაშისტების შეტევის წინააღმდეგ. მთელი რიგი დემონსტრაციები დამთავრდა შეტაკებით მუშებსა და პოლიციას შორის (ადს).

„1917 წლის 7 ნოემბერს კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა“

ბერლინი, 3 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლისთავთან დაკავშირებით, გამოდის ახალ რუსეთის მეგობართა საზოგადოების (გერმანიაში) ორგანოს ჟურნალ „დას ნეიე რუსლანდ“-ის სასწრაფო ნომერი. მოწინავეში, სხვათა შორის, ნათქვამია:

1917 წლის 7 ნოემბერს კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა. ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი ორგანიზმი, ახალი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ეკონომიური წყობილება. დაიწყო ისტორიაში უმაგალითო შემოქმედებითი მშენებლობა. საბჭოთა კავშირი ბუმბერაზული ნაბიჯებით უახლოვდება სოციალისტური მშენებლობის დამთავრებას. მთელი მსოფლიო უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ განვითარებას. ყველა ქვეყნების მრავალმილიონიანი მასები დიდი თანაგრძნობით განიცდიდენ ამ მშენებლობის ცალკე ეტაპებს, როგორც თავის საკუთარ ბედს.

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე საბჭოთა კავშირი თვალს ავლებს მის მიერ განვლილ გრძელ გზას. მრავალი სიძნელე გადალახულია. ბევრი ეტაპი წარსულს ეკუთვნის. ბევრი ამოცანა უკვე შესრულებულია. საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკური და ეკონომიური მხრით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე. მისი საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების ბრძნული, ენერგიული და მოფიქრებული პოლიტიკის მეოხებით, აგრეთვე თავდაუსხმელობის მნიშვნელოვანი პაქტების დადების შედეგად“.

მთელი რიგი წერილებიდან განირჩევა მწერალ და ლიტერატურის კრიტიკოს ალფრედ კერის წერილი; იგი სწერს: „საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა ჩემს შემეცნებაში არის ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი, რადგან მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირი პირველად 2.000 წლის მანძილზე გულწრფელად ცდილობენ განახორციელონ სამართლიანობა“ (ადს).

6 ნოემბერს, სად. 6 საათზე, სახოპერის დარბაზში

შესდგება

თბილისის მ. გ. და წ. ა. საბჭოს

საზეიმო სხდომა

რაისაბჭოებთან, პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და წითელარმიელების ნაწილებთან ერთად

ოქტომბრის რევოლიუციის

15 წლის თავის აღსანიშნავად.

საქ. კ. პ. (ბ) ა/კ. ს. კ., ა/კ. ც ს კ, საქ კ პ. (ბ) ც. კ. და ტფ. კომ., ა/კ. ცაკის, საქ. ცაკის, ალკკ ა/კ. სამხ. კომ., საქ ცეკას, ტფ. კომ., ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოების წევრები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით.

დანარჩენი პირები—სპეციალური მოსაწვევი ბარათებით. მოსაწვევი ბარათები დარიგდება რაისაბჭოების საშუალებით

720 ტფ. საბჭოს პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირში

განთავისუფლდით უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან

მოსკოვი, 4 ნოემბერი. ლუგანსკის ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ქარხნის 17 ათასი მუშისა და საინჟინერო-ტეხნიკური მუშაკისაგან შემდგარმა კოლექტივმა საკ. კ.პ. (ბ) ცკას გენერალურ მდივანს ამხ. სტალინს, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მოლოტოვს, მძიმე მრეწველობის სახ. კომისარს ამხ. ორჯონიკიძეს, რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს და სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარს ამხ. ვოროშილოვს, უკრაინის კ.პ. (ბ) ცკას გენერალურ მდივანს ამხ. კოსიორს, გზათა სახალხო კომისარს ამხ. ანდრეევს, გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარეს ამხ. მენჟინსკის, უკრაინის კ.პ. (ბ) ცკას და დონეცკის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. აკულოვს გაუგზავნა პატაკი საბჭოთა მეორე მძლავრ 1—5—1 ტიპის საქონლის მატარებლის ორთქლმავლის მშენებლობის წარმატებით დამთავრების შესახებ. ორთქლმავალს ეწოდა ფელიქს ძერჟინსკის სახელი. ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ქარხნის გადაქცევა მძლავრ ორთქლმავლების მშენებლობის ყველაზე უფრო დიდ ქარხანად მთლიანად და სავსებით ანთავისუფლებს საბჭოების ქვეყანას უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან დიდი ორთქლმავლების მშენებლობის საქმეში. ქარხნის დამკვრელები, მუშები და ტეხნიკური პერსონალი სა.. კ.პ. (ბ) ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით, მიღწეულ წარმატებების მიუხედავად, სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო მეტ ენერგიით იბრძოლებენ ლუგანსკის ორთქლმავლების მშენებელ ახალი ქარხნის 1933 წლის 1 იანვარს ამუშავებისათვის და 1933 წელს „ფ. დ“-ს სერიის 50 ორთქლმავლის გამოშვებისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირის მიწვევა მსოფლიო ფინანსიურ-ეკონომიურ კონფერენციაზე

მოსკოვი, 4 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა მიიღო მსოფლიო ფინანსიურ - ეკონომიურ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მიწვევის ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ერთა ლიგის გენერალ. მდივანი. მიწვევის ბარათში აღნიშნულია, რომ კონფერენციის ადგილად არჩეულია ლონდონი, ხოლო ცნობა კონფერენციის მოწვევის შესახებ დამატებით იქნება გამოგზავნილი (ადს).

10 თვის განმავლობაში ელექტრო-სადგურების სიმძლავრე 46 პროც. გაიზარდა

მოსკოვი, 4 ნოემბერი. „გლავენერგო“-ს სადგურებზე 10 თვის განმავლობაში გამომუშავებულ იქნა 6436,9 მილიონი კილოვატსაათი ენერგია, ე. ი. 37,1 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის 10 თვის განმავლობაში. „გლავენერგო“-ს ელექტროსადგურების სიმძლავრე გასული 10 თვის განმავლობაში, 1931 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 46 პროცენტით გაიზარდა (ადს).

ახალი სარატაციო მანქანა

ივანოვო, 4 ნოემბერი. ოქტომბრის 15 წლისთავისათვის ამხ. იაგოდას სახელობის რიბინსკის ქარხნის მუშები უშვებენ სარატაციო მანქანა „კომსომოლეც“-ს, რომელიც საათში დაბეჭდავს 30.000-მდე ოთხ გვერდიან გაზეთს (ადს).

სომხეთის მშრომელთა მორიგი გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე

სომხეთის კ.პ. (ბ) ცკას მდივანს— ხანჯიანს.
სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს—ტერ-გაბრიელიანს.

სომხეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია კიდევ ერთ მორიგ გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ერევნის მე-2 ჰიდროსადგურმა უკვე მოგვცა დენი, წლითი-წლობით იზრდება საბჭოთა სომხეთის საწარმოო ძალები. ქვეყანა, რომელიც დაშნაკების დროს წარმოადგენდა ერთა შორის შეტაკების ასპარეზს და საერთაშორისო იმპერიალიზმის პლაცდარმს და მიყვანილი იყო სრულ განადგურებამდე, საბჭოთა ხელისუფლების დროს დაისერა მძლავრი ფაბრიკებით, ქარხნებით, ელექტრო-სადგურებით, სკოლებით და საავადმყოფოების ქსელით. იაფი ენერგიის ბაზაზე შეიქმნა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ახალი დარგები. ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭო გამოსთქვამს რწმენას, რომ სომხეთის მშრომელი მასები საკ. კ.პ. (ბ) ცკას ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით, წაიყვანენ საბჭოთა სომხეთს წინ ახალი გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე: **მუსაბეკოვი.**

ნატახტარის წყალსადენის მთავარ ნაგებობათა საზეიმო გახსნა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გუშინ, 5 ნოემბერს ნაშუადღევის 2 საათზე მდინარე არაგვის ხიდზე მოხდა ნატახტარის წყალსადენის მთავარ ნაგებობათა საზეიმო გახსნა. საზეიმო მიტინგს დაესწრო თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბაგრატ მაჩაიძე, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახლო-მახლო სოფლების მშრომელი გლეხობა და თვით მშენებლობის მუშები და ინჟინერ-ტეხნიკოსები.

საზეიმო მიტინგზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მაჩაიძე, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ნატახტარის წყალსადენის უდიდესი მნიშვნელობა თბილისის მშრომელთათვის. ამხ. მაჩაიძემ მოუწოდა ნატახტარის წყალსადენის მუშებს და ინჟინერ - ტეხნიკოსებს ბოლშევიკური ტემპებით მთლიანად და ვადაზე დაამთავრონ მშენებლობა.

საზეიმო მიტინგზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის და საბჭოს სახელით ამხ. ჩხარტიშვილი. თბილისის წყალსადენის დირექციიდან წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა სახელით ამხ. თავდგირიძე, ნატახტარის წყალსადენის მშენებლობის პარტიული კომიტეტიდან ამხ. ქუმელაშვილი, მშენებლობის პროფკავშირიდან ამხ. ჭილაძე, საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახელით, მთავარი ინჟინერი ქურდიანი. ნატახტარის წყალსადენის მუშა - მოსამსახურეთა სახელით ამხ. ქუჩინაძე და მშენებლობის ინჟინერ-ტეხნიკოსთა სახელით ინჟინერი ჩხოიძე, რომლებმაც აღნიშნეს ის გმირული მუშაობა, რომლებმა აღუთქვეს პარტიის და ხელისუფლებას, რომ თავის დროზე მიაწოდებენ თბილისის მშრომელებს ნატახტარის სუფთა წყალს.

ნატახტარის წყალსადენის სათავიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილითაა დაშორებული მდ. არაგვი, სადაც მდინარეში რკინა-ბეტონის ჩადგმის საშუალებით მოიმართება თბილისისაკენ თვალუწვდენელ ველებზე უზარმაზარი მილები და გვირაბები. მდ. არაგვზე გაღმით რკინა-ბეტონის მილი დაფარულია ხიდის თაღებში, რომლის გაკეთება დაჯდა 320 ათასი მანეთი. მასთან დაკავშირებით მშენებლობის უფროსის ინჟინერ ლისამიძის წინადადებით აგებულ იქნა ეს ხიდი მდ. არაგვზე 140 მეტრის სიგრძით, რომელმაც ათი კილომეტრით შეამცირა მანძილი თბილისიდან და კიდევ უფრო შეუწყო ხელი სოფლისა და ქალაქის მშრომელების დაახლოებას. ამხ. მაჩაიძემ საზეიმო მიტინგის დამთავრებისთანავე გასჭრა წითელი ლენტი, რის შემდეგ უკვე გაიხსნა ხიდზე მიმოსვლა. ამხ. მაჩაიძემ ხიდის დაბეტონებაზე მომუშავე მუშებს ნამდვილი გმირული მუშაობისათვის დააჯილდოვა ათასი მანეთით და გამოუცხადა მათ მადლობა.

ნატახტარის წყალსადენზე დამთავრებულია მთელი რიგი სამუშაოები, როგორიცაა გვირაბი 2,6 კილომეტრის მანძილზე, 15 აკვედუკი (წყლის გამტარი ხიდები) და სხვ. დანარჩენი ნაგებობანი კი უახლოეს დროში იქნება დამთავრებული. ნატახტარის წყალსადენის მშენებლობის მუშები, ინჟინერ-ტეხნიკოსები და მშრომელი მოსახლეობა იძლევიან სიტყვას, რომ ისინი 1933 წლის დასაწყისში თბილისის მოსახლეობას მიაწოდებენ წყალს. მშენებლობის მთავარ ნაგებობათა. კერძოდ გვირაბის მშენებლობის დამთავრებაზე თავი ისახელეს სამუშაოთა მწარმოებლებმა ამხ. პეტრუხინმა და ამხ. საფუნოვმა, რომლებსაც ამხ. მაჩაიძემ გამოუცხადა მადლობა.

ნატახტარის წყალსადენის მთავარ ნაგებობათა ვადაზე დამთავრებისათვის დაჯილდოვებულია მშენებლობის მოწინავე დამკვრელი მუშები და ინჟინერ-ტეხნიკოსები. მშენებლობაზე გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა წყალსადენის სათავის მშენებლობის მუშებს და ინჟინერ - ტეხნიკოსებს, რომლებმაც ვადაზე დაამთავრეს მთავარი სამუშაოები, ხოლო თვით მშენებლობის უფროსი ინჟ. ლისამიძე კი დაჯილდოვებულია მომიდად წითელ დაფაზე შეტანით.

აკ. ნიკოლეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლუციის ხუთმეტი წლისთავი

(მასალები მომხსენებლებისათვის)

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავი ტარდება განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც საბჭოთა კავშირის მუშები და კოლმეურნეები წარმატებით, 4 წელში ამთავრებენ პირველ ხუთწლედს და ემზადებიან მორე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენების ხუთწლედისათვის, ხოლო მსოფლიო იმპერიალიზმი, რომელსაც არყევს მწვავე ეკონომიური კრიზისი, ემზადება ახალი ომებისათვის პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ გაანადგუროს ოქტომბრის მონაპოვარი—საბჭოების დიდი კავშირი, დაამარცხოს მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო—პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურის სახით.

კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პირობებში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიური კრიზისი უკვე მეოთხე წელია გრძელდება. ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები სხვადასხვაგვარი სიძლიერით განიცდიან ამ კრიზისის სიმწვავეს. კაპ. ქვეყნებში დღესაც იხურება ახალ-ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მცირდება მრეწველობის ყველა დარგების და განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის პროდუქცია, უჩერდება მაღაროები და ჩერდებიან დიდი სამრეწველო გიგანტები, რასაც თან სდევს უმუშევართა არმიის არნახული ზრდა. იშლება და ნადგურდება სოფლის მეურნეობა და ლატაკდება მშრომელ გლეხთა მილიონები. ეკონომიური კრიზისი მილიონებს უსპობს სამუშაოს და პურს, ართმევს მათ არსებობის საშუალებას, უკიდურესობამდე აუარესებს მუშების და მშრომელების მატერიალურ მდგომარეობას, იწვევს მასიურ სიღატაკეს.

სამეურნეო საქმიანობის საერთო კვირეული ინდექსი ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში 110-დან (1929 წ.) 1932 წლის სექტემბერში ჩამოვიდა 64,5-დე გერმანიის მრეწველობის საერთო პროდუქციის ინდექსი 108-დან (1929 წ.) 1932 წ. აგვისტოში დაეშვა 52-დე, ხოლო საფრანგეთის 113,4-დან 73,2-დე. ყოველდღიურად მცირდება მრეწველობის ძირითადი დარგების (თუჯი, ქვანახშირი, ფოლადი) პროდუქცია ჩ.-ა. შეერთ. შტატებში 1932 წლის სექტემბერში გამოადნეს 602 ათასი ტონა თუჯი, 1929 წლის ივლისის 3.961 ათასი ტონის ნაცვლად. ფოლადის თვიური პროდუქცია იმავე შეერთებულ შტატებში 5871 ათასი ტონიდან (1929 წ. აგვისტო) 991 ათას ტონამდე (1932 წ. სექტემბერი) შემცირდა. (ა. ი. 81,6 პროცენტით).

ოთხ უმთავრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში (შ. შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) 1932 წლის სექტემბერში დამზადდა 1592 ათ. ტ. თუჯი. გასული წლის სექტემბრის 2533 ათასი ტონის ნაცვლად. იმავე პერიოდისათვის ამ ქვეყნებმა ფოლადის წარმოება 225 ათასი ტონიდან შეამცირეს—2.286 ათას ტონამდე, ამასთან გრძელდება მსოფლიო ვაჭრობის, ექსპორტის და იმპორტის შემცირება. ზემოაღნიშნული ოთხი უმთავრესი კაპიტალისტური ქვეყნის ექსპორტი 1929 წლის სექტემბერთან შედარებით, 1932 წლის სექტემბერში 65,5 პროცენტით შემცირდა.

ეკონომიური კრიზისის გაშლასთან ერთად, ყოველდღიურად იზრდება უმუშევრობა, დიდდება უმუშევართა არმია, რომლის რიგებს თანდათან, მუშებთან და მუშა-ქალებთან ერთად, ავსებენ მეცნიერების და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და სოფლებიდან მოსული გაღატაკებული გლეხკაცობა. ამჟამად მთელ მსოფლიოში 55 მილიონამდე უმუშევარია. (ოჯახის წევრთა გამოკლებით) უმუშევართა რიცხვი აღწევს გერმანიაში—6 მილიონს, შ.-შტატებში—13 მილიონს, ინგლისში—4 მილიონს, იტალიაში—2 მილიონს და ა.შ.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაშლასა და კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის შემდგომ გამწვავებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო წინააღმდეგობათა უდიდესად გამწვავების და დაძაბვის ფონზე, ბოლო ეღება კაპიტალიზმის ნაწილობრივ სტაბილიზაციას და იწყება ახალი ეპოქა, ომების და რევოლუციების მეორე ტურის ეპოქა. სასტიკად გამწვავებულია წინააღმდეგობა ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს: ინგლის—შეერთ. შტატებს, იაპონია—შეერთ. შტატებს, საფრანგეთ-ინგლისს, გერმანია-საფრანგეთს, იტალია - საფრანგეთს და ინგლის-იაპონიას შორის.

იაპონიის იმპერიალიზმი შორეულ აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირის საზღვრებთან აწარმოებს ნამდვილ ომს ჩინეთის მშრომელების და ჩინეთის საბჭოების წინააღმდეგ, ომს, რომელსაც მხარს უჭერს მთელი მსოფლიო იმპერიალიზმი.

სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას—საბჭოთა კავშირსა და მოწინააღმდეგე კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის არსებული წინააღმდეგობანი უაღრესად გამწვავებულია. ამ წინააღმდეგობის გამწვავება გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა კავშირი დღითი-დღე იზრდება და მტკიცდება. „გაიზარდა საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა, რომელიც გიგანტური ტემპებით ანხორციელებს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის დიად პროგრამას. საბჭოთა ქვეყანა საბოლოოდ განმტკიცდა სოციალიზმის პოზიციებზე, მეორე ხუთწლედში დასახულია კლასების საბოლოო ლიკვიდაცია და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად. სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი სულ უფრო და უფრო უზრუნველყოფენ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობას კაპიტალისტური მსოფლიოსაგან. გაიზარდა მისი საერთაშორისო სიძლიერე, მისი გამარევოლუციონერებელი გავლენა ყველა ქვეყნების მშრომელებზე და გაყვლეფილებზე, მისი, როგორც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ბაზის მნიშვნელობა“ (კომინტერნის აღმასკომის მე-12 პლენუმის რეზოლუციიდან).

საბჭოთა კავშირი ამ 15 წლის განმავლობაში აგრარულ-ინდუსტრიალურიდან გადაიქცა უდიდეს ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად, სადაც მუშაობს ათასობით ახლად აგებული ფაბრიკები, ქარხნები, მარტენის ბრძმედები, მაღაროები და ათეული ათასი სხვა საწარმოები, ქვეყნად, რომელსაც აქვს მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი მიწადმოქმედება, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი.

საბჭოთა კავშირის მრეწველობა წარმოადგენს უდიდეს ძალას, რომლის საშუალებით პარტია ანხორციელებს სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის დიად ამოცანას. მარტო პირველი ხუთწლედში ამუშავდა სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტები: მაგნიტოგორსკი, კუზნეცკის კომბინატი, ბობრიკოვის ქიმიური კომბინატი, სტალინგრადის და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები, ამხ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა, დნეპრის ჰიდროელსადგური და მრავალი სხვა ფაბრიკა-ქარხნები და მაღაროები, რომლებიც ახალ აგურებს წარმოადგენენ, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მიტანილს. გამოშვებული პროდუქციის მიხედვით, ომის წინადროსთან შედარებით ჩვენი მრეწველობა სამჯერ გაიზარდა.

პარტიის გენერალური ხაზის სწორად და თანმიმდევრად გატარებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განუხრელ ზრდას ნიშნავს, ჩვენ გავშალეთ ბოლშევიკური ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. ამჟამად კოლმეურნეობებში გაერთიანებულია საბჭოთა კავშირის ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების 62 პროცენტი და სოციალისტურ მინდვრებზე მუშაობს 150 ათასი ტრაქტორი. (აქედან 100 ათასი ტრაქტორი დამზადებულია საბჭოთა კავშირში).

გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მუშების და კოლმეურნეების კეთილდღეობის დონე, გაუმჯობესდა მათი საყოფაცხოვრებო-მატერიალური პირობები, გადიდდა რეალური ხელფასი. ამასთან, წარმატებით ხორციელდება კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამა, ტარდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება და დღითი-დღე ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილ და კოლონიალურ რაიონებს, ოქტომბრის რევოლუციამ მისცა თავისუფალი განვითარების საშუალება და ყველა პირობები შეუქმნა იმისათვის, რომ ამ რაიონებმა აღმოფხვრან თავიანთი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. დღეს, ოქტომბრის 15 წლის თავზე, როდესაც თვალს ვავლებთ საბჭოების ქვეყნის დიდი ოჯახის წევრებს, მეფისდროინდელ ჩამორჩენილ, ეხლა კი საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკებს, ჩვენ ვხედავთ მათ უდიდეს აყვავებას.

პარტიის ხელმძღვანელობით, დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ თანმიმდევარი ბრძოლით და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებით, მოპოვებულია უდიდესი მიღწევები მეფის რუსეთის ყოფილი კოლონიების და ეროვნული უმცირესობათა ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში.

საბჭოთა საქართველოს მუშები და კოლმეურნეები ამიერ-კავკ. ძმურ რესპუბლიკების და საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, უდიდესი მიღწევებით ხვდებიან მე-15 ოქტომბერს. მეფის რუსეთის კოლონიიდან, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ და პოლიტიკურად უუფლებო რაიონიდან, როგორსაც საქართველო 1921 წლამდე წარმოადგენდა, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში იგი გადაიქცა ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად ჩქარი ტემპით ანვითარებს მრეწველობას და ახალ, კოლექტიურ საფუძველზე აწყობს სოფლის მეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში თითქმის არ არსებობდა ცოტად თუ ბევრად განვითარებული მრეწველობა და განსაკუთრებით მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც საწარმოო საშუალებებს ამზადებენ, ჩვენი ქვეყანა 1921 წლისათვის წარმოადგენდა ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ რაიონს, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

მენშევიკების ბატონობის წლები საქართველოში წარმოადგენენ მშრომელი მასების გაღატაკების შემდგომი ზრდის წლებს. 1917—21 წლებში საქართველოში ჩაკვდა მრეწველობის ის დარგებიც კი, რომლებიც აქაიქ უმნიშვნელო საწარმოთა სახით არსებობდენ. უკმაყოფილო მუშები და გლეხები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აწყობდენ შეიარაღებულ გამოსვლებს, რომლებსაც სისხლში ახრჩობდენ მენშევიკური არამზადები, მენშევიკებმა საბოლოოდ უღალატეს რა პროლეტარული რევოლუციის ინტერესებს, მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტებთან ერთად თავიდანვე დაიწყეს ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციის და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა 1921 წ. თებერვალში სამუდამოდ გარეკეს საქართველოდან მსოფლიო იმპერიალიზმის ეს აგენტები.

1921 წლის შემდეგაც დღემდე ქართველი მენშევიკები ყველა რეაქციონურ ძალებთან ერთად განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ თავისუფალი განვითარების უფლება და ლენინური ნაც. პოლიტიკის საფუძველზე შეუდგა ბრძოლას თავისი ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, საკუთარი მრეწველობის განვითარების და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ამჟამად, ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე თვალსაჩინოა ჩვენი გამარჯვება ლენინური ელექტროფიკაციის ფრონტზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში აშენდა ზემო-ავჭალის უდიდესი ჰიდროელსადგური, აბაშის ელსადგური და შენდება რიონის, აჭარისწყლის და ალაზნის სადგურები; საქართველოს ელსადგურებმა 1929 წელს გამოიმუშავეს 30 მილიონი კილოვატ-საათი, 1931 წელს კი 74 მილიონ კილოვატ საათი ელექტროენერგიისა. ეს ელსადგურები ახაზრდოებენ ჩვენ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას,—ელექტროფიკაციაქმნილ რკინის გზებს და ქალაქებს.

საქართველოს სოციალისტური მრეწველობა დღეს წარმოადგენს მნიშვნელოვან დარგს მთელს ჩვენ სახალხო მეურნეობაში და ამ მხრივ მას მოწინავე ადგილი უჭირავს მეურნეობის სხვა დარგებს შორის. ჩვენში შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიური წარმოების, სააბრეშუმო და სავაჭრო მრეწველობის და სხ. სახით.

ჩვენი მრეწველობის ჩქარი ზრდა აიხსნება კაპიტალურ დაბანდებათა ზრდით. პირველი ხუთწლედისათვის კაპიტალური დაბანდებათა ჯამი გათვალისწინებული იყო 178.510 ათასი მან. რაოდენობით, მარტო პირველს სამ წელში (1929—31 წ.) კაპიტალურ დაბანდებათა ხუთწლიანი გეგმა ჩვენ შევასრულეთ 89,9 პროცენტით და კაპიტალურ მშენებლობაზე დავაბანდეთ 156 მილიონი მანეთი. მიმდინარე 1932 წლის კაპიტალური დაბანდების ჯამი აღწევს 93 მილიონ მან. ამრიგად, 1-ლი ხუთწ. კაპიტალურ მშენებლობაზე გათვალისწინებული 178.510 ათასი მანეთის ნაცვლად ჩვენ ვხარჯავთ 249,7 მილიონ მანეთს და გადაჭარბებით, (143,8 პროც.) ვადაზე ადრე ვასრულებთ კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიან გეგმას. ამასთან, გადაჭრით გადიდდა ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, რომელიც 1932 წლის 1-ლი იანვრისათვის შეადგენდა 142,389 ათას მანეთს.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტურმა მრეწველობამ უკვე 1929 წელს გამოუშვა 67,137 ათასი მანეთი ს(1926—27 წ. წ. უცვლელ ფასებში) საერთო პროდუქცია 1930 წლისათვის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა გადიდდა 150 მილ. მანეთამდე. ხოლო გასულ 1931 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციამ მიაღწია 213 მილიონ მანეთს, რაც 1929 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის 319,6 პროცენტით გადიდებას ნიშნავს. ამასთან შედარებით იზრდებოდა მრეწველობის წამყვანი დარგის—მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა. თუ 1929 წელს მძიმე მრეწველობის პროდუქცია 39.400 ათას მანეთს არ აღემატებოდა, 1931 წელს მან მიაღწია 126 მილიონ მანეთს.

ქვემოდ მოყვანილი ციფრები აშკარად ლაპარაკობენ ჩვენი მრეწველობის ზრდის ჩქარ ტემპებზე. 1929 წელს საქართველოში ამოღებული იქნა 80 ათასი ტონა ქვანახშირი, ხოლო 1931 წელს 144 ათასი ტონა. მიმდინარე წელს ეს რიცხვი გაიზრდება 300 ათას ტონამდე. ჩვენ ამოვიღეთ: ბარიტი—1929 წ.—19.763 ტონა და 1931 წელს—28 ათასი ტონა. დავამზადეთ: აბრეშუმის ძაფი—1929 წელს—154.144 კილოგრამი, ხოლო 1931 წელს—173.459 კილოგრამი, აბრეშუმის ქსოვილები—1929 წელს—112 ათ., ხოლო 1931 წელს—515 ათასი მეტრი, პაპიროსი—1929 წელს—2.348 მილიონი, ხოლო 1931 წელს—4.062 მილიონი ცალი და ა. შ.

მიმდინარე 1932 წელს საქართველოს მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია გასულ წელთან შედარებით 48,8 პროცენტით უნდა გაიზარდოს. წელს საქართველოს მრეწველობამ უნდა მოგვცეს 400 მილიონ მანეთზე მეტის საერთო პროდუქცია, რაც უზრუნველყოფს მრეწველობის პირველი ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებას 4 წელში. მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მასში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა, უმჯობესდებოდა მუშათა მატერიალური მდგომარეობა. 1929 წელს საქართველოს მრეწველობაში ჩაბმული იყო საშუალოდ 16.679 მუშა, 1930 წელს—22.216 და 1931 წელს—24.618 მუშა. აქედან მარტო მძიმე მრეწველობაში ჩაბმული იყო 1931 წელს 14.020 მუშა.

მუშათა რიცხვის ზრდას თან ახლავს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება; თუ 1929 წელს თითო მუშის წლიური საშუალო ხელფასი 785 მანეთს არ აღემატებოდა, 1930 წელს იგი 1185 მანეთამდე გაიზარდა, 1932 წელს კი წინა წელთან შედარებით მან მიაღწია 1222 მანეთს. ამასთან, გადაჭრით გადიდდა სოციალური დაზღვევის და მუშათა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები, გაიზარდა საავადმყოფოების, ამბულატორიების ქსელი და მათში გატარებულ მშრომელთა რაოდენობა.

მარტო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე დაიხარჯა 1926—27 წ.—6.438,7 მ. 1927 წ.—7039,6 ათასი მანეთი, 1928—29 წ.—7.922,7 ათასი მანეთი, 1929—30 წ.—9.625,8 ათასი მან., 1931 წ.—17106,6 ათ. და 1932 წელს დაიხარჯება—27.359,8 ათ. მანეთი.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმატების და მრეწველობის განვითარების საფუძველზე, ჩვენში ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მშენებლობა. ღარიბ საშუალო გლეხთა ფართო მასები საქართველოში შემობრუნდენ პირით სოციალიზმისაკენ და აქტიურად ჩაებენ საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამ საფუძველზე, 1929 წელს საქართველოში უკვე არსებობდა 839 კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 12,988 მეურნეობა (61.825 მცხოვრები). მაშინ კოლექტივიზაციის პროცენტი უდრიდა 3,1-ს, 1931 წლ. პირველი მარტისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში ავიდა 2552-დე, ხოლო მასში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი—119.594-დე.

ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ გლეხობის საკითხში დაშვებულ უხეშ შეცდომათა გამოსწორების შემდეგ, ჩვენში კიდევ უფრო გაძლიერდა ღარიბ-საშუალო გლეხთა ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ. 1932 წლისათვის საქართველოში კოლექტივიზაციის პროცენტი ავიდა 33-მდე.

საკოლმეურნეო მშენებლობასთან ერთად, ჩვენში ფართოდ გაიშალა საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელი. ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს და მოქმედებს 163 საბჭოთა მეურნეობა და 23 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 1305 ტრაქტორით. ამას გარდა, მარტო პირველ ხუთწლედში შემოტანილ იქნა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანები 20 მილიონი მანეთის.

საქართველო წარმოადგენს ტეხნიკური კულტურების ქვეყანას. ამ კულტურების განვითარებას, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის საწარმოო პროფილის გარდაქმნის საქმეში, ექცეოდა და ექცევა მეტად სერიოზული ყურადღება.

ჩაი, ბამბა, თამბაქო, რამი, ციტრუსოვანი კულტურები—აი ძირითადი გზა, რომლითაც მიდის ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება. 1921 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი ჩვენში აღწევდა 1.150 ჰექტარს, 1928 წელს—3,8 ათასს, ხოლო 1932 წლის შემოდგომაზე აღწევს—27.700 ჰექტარს. ციტრუსოვან კულტურათა ფართობი გადიდდა 800 ჰექტარიდან (1928 წ.) 2.500 ჰექტარამდე (1932 წ.) ვენახის ფართობი გაიზარდა 37,8 ათასი ჰექტარიდან (1928 წ.) 39,7 ჰექტარამდე (1932 წ.) ტეხნიკური კულტურების საერთო ფართობი 20 ათასი ჰექტარიდან (1913 წ.) გაიზარდა 64.500 ჰექტარამდე. ამასთან, გადამწყვეტი ნაბიჯები იქნა გადადგმული სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ტემპების გაძლიერებისათვის. პირველი ხუთწლედით გათვალისწინებული 350 მილიონი მან. ნაცვლად, დღემდე საქ. სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია 440 მილიონი მანეთი.

საქართველოს ბოლშევიკები წარმატებით ანხორციელებენ ამხ. ლენინის მითითებას საირიგაციო მშენებლობის დარგში. ამას მოწმობს ალაზნის არხის (მორწყავს 23 ათას ჰექტარს) და ტირიფონის (მორწყავს 12,3 ათას ჰექტარს) არხის აგება, ბორჩალოს არხის რეკონსტრუქცია და სამუშაოების დაწყება კოლხიდის დაბლობის დასაშრობად, რაც ქვეყანას მისცემს 214 ათას ჰექტარ ახალ ფართობს.

წარმოების ზრდასთან ერთად საქონლის ბრუნვის ზრდა და საბჭოთა ვაჭრობის განვითარება ჩვენში თვალსაჩინოა. ამჟამად საქართველოში მოქმედებს 35000-მდე სავაჭრო წერტი და საქ. სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირებულია 1,2 მილიონი მშრომელი სრულწლოვანი მოსახლეობა. სამომხ. კოოპერაციის საქონლის ბრუნვა მიმდინარე წელს აჭარბებს 300 მილიონ მანეთს. გაიზარდა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ვაჭრობა. 1925 წლის—106.374,6 და 1928 წლის 645.327,5 ათასი მანეთის ნაცვლად, 1930 წელს მან მიაღწია 1071200 ათას მანეთს.

საქართველოს მშრომელებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცათ საშუალება ფართოდ მოეკიდათ ხელი თავიანთი კულტურული განვითარებისათვის დღემდე კულტურული რევოლუციის ფრონტზე მასიური სახალხო განათლების და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე მოპოვებულია უდიდესი მიღწევები. **საქართველოში დღეს ძირითადათ დამთავრებულია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** საქართველოს 27 ქალაქსა და 11 რაიონში შემოღებულია 7 წლიანი საერთო განათლება. წელს მასიური განათლების სისტემაში ჩაბმულია: სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში—26.939 ბავში, ე. ი. ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 193,4 პროც. 4 წლიან სკოლებში ჩაბმულია—401.251 კაცი (გეგმა შესრულებულია 120,6 პროც.) 7 წლიან სკოლებში—87.877 კაცი. (216 პროც.) ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 17 უმაღლესი სასწავლებელი და 24 სამეცნიერო საგამოკვლევო დაწესებულება. მარტო პირველი ხუთწლედის განმავლობაში მასიურ სახალხო განათლებაზე დახარჯულია 128,5 მილიონი მან. (გეგმის 145 პროცენტი) შემდეგი ციფრები ლაპარაკობენ სახალხო განათლების საქმის უდიდეს წარმატებაზე ჩვენში. სახალხო განათლებაზე დაიხარჯა: 1924 წ.—9.886,4 ათასი მან. 1930 წ.—28.893,6 ათასი და 1932 წ. იხარჯება—75.118,5 ათასი მანეთი.

მთელი საბჭოთა კავშირის და ა.-კ. ძმურ რესპუბლიკებთან ერთად, საბჭოთა საქართველო წარმატებით ქმნის შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ კულტურას, (ლიტერატურა, თეატრი, კინო და სხვ.) აშენებს საერთო საკაცობრიო დიდ კულტურას.

საბჭოთა კავშირის დახმარებით, ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირში დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ სასტიკი და თანმიმდევარი ბრძოლის საფუძველზე, განმტკიცდა და გაიზარდა საბჭოთა საქართველო, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს მშრომელებთან ერთად აჯამებს დიდი ოქტომბრის 15 წლის თავზე მოპოვებულ უდიდეს მიღწევებს. საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც ერთგულად უჭერენ მხარს ლენინის პარტიას და მის ეროვნულ პოლიტიკას, ამ ხნის განმავლობაში წარმატებით იბრძოდენ და ამტკიცებდენ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პირმშოს — ა.-კ. ფედერაციას. ამტკიცებდენ მას პოლიტიკურად, სამეურნეო და კულტურული ხაზით და ამავე დროს ხელს უწყობდენ ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლას.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე საბჭოთა საქართველოს მუშები და მშრომელი გლეხები, კომპარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას —ა.-კ. ფედერაციის შემდგომი სამეურნეო - პოლიტიკური განმტკიცებისათვის, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი რესპუბლიკების თვითმოქმედება და ფართო სამეურნეო ინიციატივა.

საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, ოქტომბრის მე-16 წელშიც წარმატებით გასწევენ წინ სოციალიზმისაკენ, ყოველგვარ სიძნელეთა გმირულად დაძლევისათვის, ამხ. სტალინის 6 მითითების განხორციელებისათვის, საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის, შავი მეტალურგიის მუშაობის გაუმჯობესების, საბჭოთა ვაჭრობის გაშლის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების და მუშათა და მშრომელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო - მატერიალური პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 15 წ. თავზე განსაკუთრებულად გამოიყურება ჩვენი ბრძოლის და შრომის დიდი შედეგები. ეს შედეგები აშკარად ლაპარაკობენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე ჩვენ ქვეყანაში. ეს უდიდესი მიღწევები, ეს მსოფლიო მნიშვნელობის ბრწყინვალე გამარჯვება საბჭოთა კავშირის მუშებმა და კოლმეურნეებმა მოიპოვეს, რადგან მათ ჰყავთ ისეთი ძლიერი და საუკეთესო ხელმძღვანელი, როგორიც არის საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტია ლენინის პარტია, რომლის რიგებში დარაზმულია 2 მილიონამდე საუკეთესო მუშა და კოლმეურნე და რომელიც ასე თანამიმდევრად, შეუპოვრად და გმირულად ანხორციელებს მუშათა კომუნისტური მოძრაობის ბელადების მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეას კომუნისტური საზოგადოების აშენებისას.

მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარების საფუძველზე, კონტრრევოლუციონურ ტროცკიზმის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების, მათი უპრინციპო ბლოკის, ყველა ჯურის მოწუწუნეთა და ლიკვიდატორების და რიუტინ-ივანოვის კონტრრევოლუციონური ჯგუფის ნამსხვრევების წინააღმდეგ დაუნდობელი და თანმიმდევარი ბრძოლის საფუძველზე შევძელით ჩვენ ასეთი უდიდესი მიღწევების მოპოვება რევოლუციის 15 წლის მანძილზე.

პარტიული რიგების მონოლიტობა, რკინისებური დისციპლინისა, თანმიმდევარი ბრძოლა გადახრების და პირველ რიგში, მემარჯვენე გადახრის როგორც თანამედროვე ეტაპზე მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს საუკეთესო ლენინელი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. სტალინი — აი, რა უზრუნველყოფს ჩვენს შემდგომ გამარჯვებას მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ფრონტზე.

ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამავე დროშით გავიმარჯვებთ პროლეტარულ რევოლუციაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გაუმარჯოს ლენინიზმს.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურის და პროპაგანდის განყოფილება

ოქტომბრის ზეიმის წინ

თბილისი ოქტომბრის დღეებში

გუშინ დილიდან დაიწყო ქალაქის მორთვა დროშებით და ნახატებით, მაღაზიების ვიტრინებში გამოფენილია დიაგრამები, რომლებიც გვიჩვენებენ ოქტომბრის 15 წლისთავისათვის მიღწეულ წარმატებებს. მთელ რიგ ადგილებში უკვე დადგმულია მოძრავი ტრანსპარანტები. კლუბების შესასვლელებში დგამენ ბელადების სურათებს, რომლებიც მორთულია წითელი არშიებით და მწვანეთი. მთელი რიგი დაწესებულებანი აჩირაღდნებენ შენობათა ფასადებს. 7 ნოემბერს ქალაქში გაიმართება თბილისის გარნიზონის ჯარების აღლუმი და მუშათა და მშრომელთა დიდი დემონსტრაცია.

საბავშვო სახლებისათვის [illegible] მრეწვმა და [illegible] ტებს, [illegible] საქვაჭრობამ — კარაქი და ყველი, „სოიუზმუკა“-მ — თეთრი ფქვილი, „შაქარგასაღება“ სკოლის ბუფეტებს აძლევს შაქარს.

5 თბილისის განათლების განყოფილება 5 და 6 ნოემბერს 26 კომუნარის სახელობის ბაღში და ორჯონიკიძის სახელობის ბაღში აწყობს საბავშვო სათამაშოების და წიგნების ბაზარს (ადს).

აჭარისტანში

ბათომი. აჭარისტანის მშრომელები ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავს აღნიშნავენ უდიდესი ზეიმით.

ხულოს რაიონში გაიხსნება სკოლების 16 ახალი შენობა.

ხულოში დაიწყებს მუშაობას ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო ელექტრო-სადგური.

ქობულეთის, ბათომის და ქედის რაიონებში დამთავრდა 7 შენობა სკოლებისათვის.

ბათომში ჩაეყრება საძირკველი აჭარისტანის ცაკის სასახლეს.

გაიხსნება ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კლუბის ახლად აგებული შენობა.

სალიბაურში საძირკველი ჩაეყრება მუშათა კლუბის შენობას.

ამუშავდება ზეთის საწმენდი ქარხანა ბათომის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებთან.

ოჩხამურის მეურნეობაში ამუშავდება აბანო.

7 ნოემბერს გაიხსნება პედაგოგიური ინსტიტუტის მოწაფეთა საერთო საცხოვრებელი.

ბათომში გაიხსნება ახალი საკურორტო ინსტიტუტი.

მოხდება საბჭოთა-სავაჭრო ფლოტის მტვირთავ მუშების საცხოვრებელი ბინების საზეიმო გახსნა.

ბათომში დაიწყება საავადმყოფოს მეორე კორპუსის მშენებლობა.

ბ. ხ.

მწერალთა კავშირში

მწერლები დემონსტრაციაზე

7 ნოემბერს. დემონსტრაციაში მწერლები მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზაციულად. მწერლებთან ერთად დემონსტრაციაზე გამოვლენ საქ. დრამკომის წევრები. შესაკრებ პუნქტად დანიშნულია მწერალთა სასახლე, სადაც მწერლები და დრამკომის წევრები უნდა გამოცხადდენ 7 ნოემბერს, დილის სრულ 8 საათზე 11 ნოემბერს მწერ. სასახლეში გაიმართება საზეიმო საღამო.

მწერლები მიკროფონთან

დღეს, 6 ნოემბერს, რადიოში ოქტომბერზე ლექსებს და მოთხრობებს წაიკითხავენ: ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, ფრიდონ ხალვაშები(?), ტ. ტაბიძე, ირ. აბაშიძე, როდ ქორქია, ვ. ჟღენტი(?), მიხ. ჩიქოვანი. მწერლები უნდა გამოცხადდენ 5 ნახევარ საათზე.

ინტერნაციონალური საღამო

10 ნოემბერს, რადიოში ოქტომბრის 15 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება ინტერნაციონალური საღამო. მონაწილეობას მიიღებენ: რ. გვეტაძე, გრ. ცეცხლაძე, ი. მოსაშვილი, ალ. გომიაშვილი, კრეიტანი, გრებენშჩიკოვი, დარბინიანი, შახვალადი.

სახკინმრეწვში

დღეს, სახკინმრეწვში გაიმართება სახკინმრეწვის თანამშრომელთა და კინო-მუშაკთა საზეიმო საღამო. ლექსებს წაიკითხავენ: ი. მოსაშვილი, ალ. გომიაშვილი, ირ. აბაშიძე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 48

საქ. სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკის მილიციის 7 და 8 ნოემბერს სავაჭრო საწარმოებში მუშაობისა და ვაჭრობის წესის შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკის მილიცია ადგენენ:

1. 7 და 8 ნოემბერს—პროლეტარულ რევოლუციის დღეებში დაშვებულ იქნეს ვაჭრობის წარმოება კოოპერატიულ ორგანიზაციების სასადილოებსა, სურსათ-სანოვაგის და გასტრონომიულ მაღაზიებში.

2. აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის ტელეგრაფით.

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარი: **მორჩილაძე.**

კოლეგ. წევ. შრომ. ორგ. და გაჯ. სექციის გამგე: **მახარაშვილი.**

რესპ. მილიციის უფროსი: **წერეთელი.**

სახოპერა

6 ნოემბერს თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავის აღსანიშნავად

7 ნოემბერს წარმოდგენა არ იქნება

8 ნოემბ. პრემიერა ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავის აღსანიშნავად რღვევა

ნ. 377

რუსთაველის თეატრი

6 ნოემბ. აბ. გარ. ანზორ
8 ნოემბ. აბ. გარ. ანზორ
9 ნოემბ. 6 აბ. 2 წ. ანზორ

მეორე გადასახადი სავალდებულოა.

ნ. 380

[illegible]

ოქტომბრის 15 წლ. თავის აღსანიშნავად
აბონემენტის გარეშე
6 ნოემბერი [illegible]
8 ნოემბ. ყვარყვარე თუთაბერი

თეატრის სალაროში № 2 აწარმოებს „ოტელოს“ ბილეთებზე ჩაწერას.

სახცირკი

6, 7, 8, 9 და 10 ნოემბერს
დიდი საზეიმო პროგრამა
I განყ. ორატორია პანტომიმა
ოქტომბერი მონაწ. 200 კაცი.
მე 2 განყ. მე-3 განყ. საცირკო პროგრამა
8 ნოემბ. დღის საზეიმო წარმოდგენა
დასაწყისი საღ. 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

ნ. 378

ზამთრის კინო ოქტომბერი (უ.პოლო) 12, 2, 4, 6 40, 8-0, 10 40
რ. ლუქსემბურგ. სახ. კინო [illegible] დასაწყ. 6, 8, 10
დამკვრელი (საზაფხ.) [illegible] დასაწყ. 7-45, 9-15, 10-45.
დამკვრელი ზამთრის 6, 7-30, 9, 10-30
კინო დარბაზი ზამთ. 6 30, 8, 9-30, 11
დარბაზი საზაფხ. 7—30. 9, 10—30.
ეთერი დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ხმოვანი მოლაპარაკე საიუბილეო ფილმი შაქირ (როტე-ფანე) გ. მდივანის სცენარის მიხედვით. რეჟ. ლ. ესაკია, ოპერატ. ა. პოლიკევიჩი, კომპ. ტუსკია, ხმოვ. ოპერატ. ხარიტონოვი.
ახალი ფილმი ჩვენ ვნახეთ ევროპის სახე პროგ. გარ. კინო ჟურნალი № 21
ახალი მხატვრული სურათი მამებთან ერთად პროგრ. გარ. საბჭოთა საქართველო № 1
სახკინმრეწვის ახალი სურათი მეორე მისამართი რეჟ. რონდელი, ოპერატ. კირესელიძე.
მხატვრული ფილმი დარბევა ფადეევის რომანის მიხედვით რეჟისორი ნ. ბერესნევი.
ზელიმ ხანი პროგრ. გარეშე—ავტოაგიტანი.

დღეიდან 6 ნოემბრიდან, ოქტომბრის მე-15 წლისთავისათვის

კინო-თეატრებში ოქტომბერი და რ. ლუქსემბ. სახ.	კინო-თეატრი დარბაზი (ზამთრის)	კინო თეატრი დარბაზი (საზაფხულო)	კინო-თეატრი დამკვრელი (ზამთრის)	კინო-თეატრი დამკვრელი (საზაფხულო)	კინო-თეატრი ეთერი
საქ. სახკინმრეწვის ახალი საიუბილეო მხატვრული ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი **შაქირი** როტე-ფანე გ. მდივანის სცენ. მიხედვით. რეჟისორი ლეო ესაკია. ოპერატორი პოლიკევიჩი კომპოზიტ. ტუსკია. ხმოვ. ოპერ. ა. ხარიტონოვი და რ. ლაპიასკი. ხმ. ასისტ. ვ. დოლენკო მხატვარი ს. ვაჩნაძე. მთ. როლებში: გ. მიჩურინი, კ. ყარალაშვილი, ბ. ამირეჯიბი, ე. [illegible]	საქ. სახკინმრეწვის ახალი მხატვრული კინო-ოჩერკი **მეორე მისამართი** გ. პერელმანის — და — დ. რონდელის სცენარის მიხედვით. ოპერატ. გ. კირესელიძე. ასისტენტი ვ. დონენკო. მხატვ. მ. გოცირიძე.	მხატვრული ფილმი **დარბევა** ფადეევის რომანის მიხედვით. რეჟისორი ბერესნევი. პროგრამის გარეშე კინო-ჟურნალი № 21.	ახალი მხატვრული ფილმი **მამებთან ერთად** რეჟისორი ფრენკელი. ოპერატ. [illegible] მთავარ როლებში: დუბროვსკი, [illegible] პრ. გარეშე სახკინმრეწვის № 1 ქრონიკა „საბჭოთა საქართველო“	ახალი სურათი **ჩვენ ვნახეთ ევროპის სახე** პროგრ. გარეშე ჟურნალი № 22	მხატვრული სურათი **ზელიმ ხანი** რეჟისორი ო. ფრელიხ. ოპერატორი [illegible] პროგრამის გარეშე [illegible]

ს. ს. რ. კ. მიუხსაკომის 1932 წლის 10 სექტემბრის და ა. კ. მიუხსაკომის 1932 წლ. 29 ოქტომბრის დადგენილებათა საფუძველზე, ახალი სახელი კულტურების ამიერ-კავკასიის ტრესტი

„ზაკნოვკულტტრესტი“

გაუქმებულია საკავშირო მნიშვნელობის ორ ტრესტად: **საქართველოს რაიონ. ტრესტად რომელიც მოთავსებული იქნება თბილისში (ლენინის ქ. № 24) და „აზნოვკულტტრესტ“-ად, რომელიც მოთავსებული იქნება ბაქოში (ქამენისტაია № 193).**

„ზაკნოვკულტტრესტ“-ის ყველა დაუმთავრებელი ანგარიშების ახლად მოწყობილ ტრესტებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, ყველა დაწესებულებებმა და კერძო პირებმა, რომელთაც გასასწორებელი აქვთ ანგარიში „ზაკნოვკულტტრესტ“-თან, თავიანთი პრეტენზიები დაწერილებითი ამონაწერების და ანგარიშების დართვით უნდა წარმოუდგინონ „ზაკნოვკულტტრესტ“-ის სალიკვიდაციო კომისიას მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 24 არა უგვიანეს ა. წ. 17 ნოემბრისა.

აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზიები არ იქნება განხილული

ნ. 376

სალიკვიდაციო კომისია

გაუბედურებული დედა ლიუბა მამა ნოე ძმა ხუტუ და ცაცო იუწყებიან საყვარელი უფროსი შვილის და ძმის

დათო დონდუას

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 5 ნოემბერს 7 ს. გამოსვენება 6 ნოემბერს 4 ს. წყნეთის ქ. № 1, ვერის სასაფლაოზე. 707

მექსანძრომის ცენტრალური გამგეობა აცნობებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პროფკავშირის ენერგიული მუშაკი, ჯგუფკომის თავმჯდომარე ამხ.

გრიშა გელეჯკორი

745

თავზარდაცემული მშობლები: რემანოზი, ევდოკი შვილებით: შალიკო, კოწია, დათიკო, კუკური იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს სამტრედიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

მიხეილ რემანოზის-ძე სტურუას

ხსოვნის აღსანიშნავად. 742

გაუბედურებული მშობლები: ნატაშა, გიორგი, და სიმონ, და შუშანიკა გოგოლიშვილები, ბიძაშვილი ტიტიკო გოგოლიშვილი იუწყებიან მათთვის ძვირფას

შალვა გიორგის-ძე გოგოლიშვილის

უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 6 ნოემბერს ლიხაურში. 742

ძველი ამხანაგები: თამარ ხომასურიძე, თინა ვეშაპელი, კლარა წირღავა, ლიდა წულუკიძე, რუსუდან გელოვანი დასტირით ძვირფას მესამე კურსის სტუდენტ

თიკო ნიკოლოზის ას. ნიჟარაძის

უდროოდ დაკარგვას. 734

სატრიკოტაჟო წარმოების მუშა მოსამსახურეები უღრმეს თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. არმინეა დადიანს მისი მამის

ალექსანდრე დადიანის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10 ნოემბერს ნოქალაქევში. 753

გულმოკლული მშობლები ანა, იოსები, ძმები ცოლებით და შვილებით: შალვა, თამარი, პატარა ჯიმშერი, ალექსანდრე, ლიდია იუწყებიან

ლიუბა იოსების ას. ბახანიძის

გარდაცვალებას გამოსვენება 8 ნოემბერს 3 საათზე, გორკის ქ. № 16, ველაბრის სასაფლაოზე. 739

თავზარდაცემული მშობლები. ელისო ბატა, ელიკო, ძმა გიგი, ბაბუა ერმილე, ბიძია კოსტიკე ბოლქვაძეები იუწყებიან, რომ 6 ნოემბერს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი პატარა შვილის

ჟორიკო ბოლქვაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 740

დამწუხრებული შვილები: აკოფიანი სერგო, პოსიო, შვილიშვილები: ამირან, ბაჩია ეთერი, გაბრიელ იუწყებიან საყვარელ

მინადორა ნინუას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 738

ექიმი ანნა სიმონის ასული, შვილი გოგი მეუღლის მშობლები ამით აუწყებენ, რომ დღეს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე, შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მეუღლის და მამის, ექიმ

იოსებ პავლეს-ძე მჭედლიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 735

გაუბედურებული მეუღლე ქეთო, მშობლები: სარდიონი, მელიკო, ძმები: დომენტი, სერაფიონი, შალიკო დები: ნინა, ვერა დასტირიან ძვირფას

სერგო სარდიონის-ძე სტაძაძის

ცხედარს გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან 9 ნოემბერს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 732

დამწუხრებული მეუღლე ანეტა აუწყებს საზოგადოებას რომ 9 ნოემბერს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას

ირაკლი სიმონის-ძე ლორიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 748

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ შვილებით: სერგო, ნესტორ და საშა. რძლები: თამარა, ნიურა, შვილიშვილი ნოდარი იუწყებიან ძვირფას

კონსტანტინე სიმონის ძე მუჯავანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 6 ნოემბერს, ნინოშვილის ქ. № 64 ნ. 385

დამწუხრებული მშობლები: გვადა, მაგდანა, ძმები: გრიშა, ვალოდია, შურა, გიგა, რძლები: სონია. ნინა, ბიძა ყარამან, ბიძაშვილები პონი, ელისაბედი იუწყებიან დაუვიწყარ

ალიოშა დავითაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ონტოფოში 10 ნოემბერს. 747

დამწუხრებულნი: ნინა, ისაკი რუსიკო, აბა, ცინო კაჭიუნაშვილები, ანიჩკა, გენატი ჩარკვიანები დასტირიან ძვირფას

ზინა შუბლაძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება რ/გზის საავადმყოფოდან 6 ნოემბერს 6 ს. დაკრძალვა ს. [illegible] 10 ნოემბერს. 746

მთავარ სახელოსნოს დეპოს და ვაგონების ფარეხის გაერთიანებული ჯანდაცვის [illegible] თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის ნესტორ ციხეაძის საყვარელი დის

მარო ანტონის-ას. ციხეაძის

უდროოდ დაკარგვას. 726

დამწუხრებულნი: მამა, საშა ცოლით და შვილით, შალიკო, თამარა, ნინა, ქეთინო, ვანო, მერაბი მირიანაშვილები იუწყებიან, რომ დღეს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ანიჩკა მამაცაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 731

დამწუხრებული მშობლები: დედა თეკლა, მამა ლავრენტი, ძმები: დავით, გიორგი, გერმანე, და ანნა აუწყებენ საყვარელი

ალექსანდრე ლავრ.-ძე ჩიხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბოტანიკურიდან 6 ნოემბერს. დაკრძალვა ს. ბუმბუას ხიდზე 9 ნოემბერს. 729

მწუხარებისაგან გამოუსვლელნი და-ძმანი: მაშიკო, ნადია და ვალიკო ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი ძმა

ნიკოლოზ ალექსის-ძე კეთილაძე

დაკრძალვა 6 ნოემბერს ვერის სასაფლაოზე. 725

გაუბედურებული შვილი კატო, სიძე გალაქტიონი ციხისელები, ძმები: ვასილი, ათანასი ცოლ-შვილით მისიშვილი კოსტა ცოლშვილით ნათელი ლოლა იუწყებიან

ერმილე სოფრომის-ძე გორდეზიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება 8 ნოემბერს 4 ს. [illegible] ქ. № 7, კუკიის სასაფლაოზე. ნ. 386

დამწუხრებული ძმები: იოსები, მიშა, ტარიელ და მარიამი ტატიშვილები იუწყებიან. რომ 8 ნოემბერს, 4 საათზე. ქ. სტალინისში ძმათა სასაფლაოზე, შესდგება დაუვიწყარ ძმის

ვიქტორ ტატიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქ. პანაშვიდი 749

[illegible] ფაბრიკის სამრეწველო სამქროს მუშა მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 8 ნოემბერს ქ. ლანჩხუთში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ ამხანაგის

პავლე ალფესის-ძე იმნაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 737

დამწუხრებული სიძე სტეფანე ცოლით ნინა, შვილით ტასიკო ბერიშვილები იუწყებიან. რომ 6 ნოემბერს 5 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ნიკოლოზ ონისიმეს-ძე გოგოლაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 736

დამწუხრებული დედ-ები: მარიამ, ელენე შვილებით, ქმრებით: შალიკო თოლაკვაძე და კლიმენტი ჰეიშვილი იუწყებიან საყვარელი დისშვილის

ვასა ბიბიაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 6 ნოემბერს. 4 ს. ქლიავის ქ. № 2. 733

თავზარდაცემული მშობლები: ძაძა ხისტორ, დედა მინაპორა, დები მარო. ნინა ჩარგეიშვილები. [illegible] იუწყებიან რომ [illegible]

გალაქტიონ ნესტ.-ძე ჩარგეიშვილი

დაკრძალვა ქ. ხონში 6 ნოემბერს. 728

[illegible] დიმიტრი, ალექსანდრე, გრიშა, მიშა, კოლია კატია გოცირიძეები, ვანო, კაპიტონ ლოლაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ბაბილინა იაშვილი-გოცირიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, მიხეილის საავადმყოფოდან 4 ს., კუკიის სასაფლაოზე. 727

თავზარდაცემული მშობლები: ქრისტინა, გიორგი (ვანიჩკა) შვილები: ნადია, ნათელა, ნოდარი და ლევანი აცნობებენ საზოგადოებას უსაყვარლესი

მიშა გიორგის-ძე ნიკოლეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება სოფ. [illegible] 8 ნოემბერს 750

ლუკა ივანეს-ძე ბაქრაძე აუწყებს ნათესავებს მეგობრებს

მარიამ მამულია-ბაქრაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 6 ნოემბერს 5 საათზე. საბურთალო. ხიჯისთავის ქუჩა, საძლე ბაქრაძისა საბურთალოს სასაფლაოზე. 743

[illegible] ამხანაგები: ა. ნიკოლაიშვილი, [illegible], კ ბაბილოძე [illegible] დოლიძეები, დ. დანელია, შ მგელაძე, თ ცინცაძე ნ იმედაძე, ლ. ბარამია, კ შენგელია, ბ. ჭეჭიაშვილი, [illegible] იუწყებიან ძვირფასი მეგობრის, პედინსტიტუტის სტუდენტის [illegible]

ნადიას

გარდაცვალებას. 744

დამწუხრებულნი: მაკრინე, სილოვანი, [illegible], ვერა, ქეთო მიშა, ნიკა. ლიანიკო სამხარაულიშვილები ნატალია, გრიგოლ, [illegible] იუწყებიან რომ 8 ნოემბერს 5 ს ოზურგეთში დანიშნულია

მარინე [illegible]

სამოქალაქო პანაშვიდი. 741

სტამბა „კომუნისტი“ 1932 წ. კამოს ქუჩა № 62

მთავლიტის რწმუნებული ა 1203